MES 1 20 0001166352

07/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.11.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:15 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:51 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოციირებული პროფესორი;
16. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულებისდ ასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეა კბილცეცხლაშვილი		ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	I
1.	მაკა ბურღულაშვილი		დეკანის მოადგილე, მენეჯმენტის საბაკალავრო და	I

		შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	
1.	ნინო ჯოჯუა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მერაბ ხოხობაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ქეთევან ქავთარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული საკითხი);
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის - „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

შუამდგომლობის ინიციატორი - თამთა მოხევიშვილი

შუამდგომლობის არგუმენტაცია - პირველი საკითხი, შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განსახილველად მოწვეული საბჭოს წევრების ქვორუმი არ შედგა, რის გამოც, საჭირო გახდა, საკითხი გადადებულიყო უახლოეს სხდომამდე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის - „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის - „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N122, 14.09.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, #2, 0131
12		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ წარდგენილ პროგრამას ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია და ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ახალი პროგრამის გაუმჯობესებული ვერსია, რომელშიც გათვალისწინებული იყო ფაქტობრივად ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაიცა ექსპერტთა წინა ჯგუფის მიერ. კერძოდ:

- დაკორექტირდა მიზანი და სწავლის შედეგები, მიზანი შესაბამისობაში მოვიდა უნივერსიტეტის მისიასთან;
- ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა „მონაცემთა ანალიზი და ბიზნეს მოდელირება ელექტრონული ცხრილებით“;
- სასწავლო კომპონენტები - „პრაქტიკა“, „საბაკალავრო ნაშრომი“, „ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ და „ლოჯისტიკა“ გახდა სავალდებულო, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა - „კორპორაციული კომუნიკაცია“, სასწავლო კურსს „ტურიზმის საფუძვლები“ შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი, სასწავლო კურსს „კორპორაციული კომუნიკაცია“ შეეცვალა სახელი და დაერქვა „ბიზნეს კომუნიკაცია“,

ზემოაღნიშნული ცვლილებები განხორციელდა 2018 წლის შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფმა იხილა საუკეთესო პრაქტიკა, პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ კარგად არის გააზრებული და წარმოდგენილი, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების, ისე მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რომელიც პროგრამის ავტორს კომპლექსურად აქვს დანახული/გააზრებული. რაც შეეხება სასწავლო კურსს „მეწარმეობა“ ისწავლება თანამედროვე მიდგომებით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებში მეწარმეობის კომპეტენციის გამომუშავებას სამეწარმეო კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოს (EU SCIENCE HUB) მიხედვით, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ექსპერტის თქმით, პროგრამა არის ძალიან კარგი, მაღალი ხარისხისა და კარგად გააზრებული, რაც არამარტო ქართველ სტუდენტებს მისცემს მაღალი დონის განათლებას, არამედ მოახდენს საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარებას საქართველოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

ფაკულტეტის დეკანი, თეა კბილცეცხლაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მადლობა გადაუხადა, როგორც 2018 წლის ექსპერტთა ჯგუფს, რომლის წევრებმაც ძალიან სერიოზულად იმუშავეს და ღირებული რეკომენდაციები გასცეს, ასევე, ახალ ექსპერტთა ჯგუფს, რადგან ეს მართლაც უდიდესი შრომაა. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა მთელ გუნდს კარგად ჰქონდა შესწავლილი პროგრამები, სილაბუსები და ა.შ.

მან ასევე მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ნინო ჯოჯუას, რომელიც ძალიან კარგ რეკომენდაციებს აძლევს ხოლმე კოორდინატორებს პროგრამაზე მუშაობის პროცესში, ასევე მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელს მაკა ბურღულაშვილს, რადგან ეს პროგრამები არის სტანდარტებთან შესაბამისობაში და მთელი გუნდი იბრძვის იმისთვის, რომ რეალურად სტუდენტის შესაფერისი პროგრამა შეიქმნას და იყოს კონკურენტუნარიანი ბაზარზე, სიტყვის ბოლოს მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსაც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა გარე შეფასების მნიშვნელობა მათი საგანმანათლებლო პროგრამების და კონკრეტულად ამ პროგრამის განვითარებაში, იგი დაეთანხმა ფაკულტეტის დეკანს, რომ ნამდვილად ძალიან დაეხმარათ, როგორც წინა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება, ასევე ახალი ჯგუფის განხილვა, მათთან ინტერვიუები კი ძალიან საინტერესო იყო დაწესებულებისთვის, მან მადლობა გადაუხადა მათ გაწეული შრომისა და გაცემული შეფასებებისთვის.

მან აგრეთვე აღნიშნა პროგრამის განვითარებაში ჩართული პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა და ყველა ადამიანის შრომა, რადგან ძალიან დიდი პასუხისმგებლობით იყვნენ გამსჭვალულნი და ძალიან კმაყოფილები არიან ექსპერტთა ჯგუფის დადებითი შეფასებით. მისი თქმით პროგრამა შეფასებული იყო საერთაშორისო ექსპერტების მიერ და მათგანაც დადებითი შეფასება დაიმსახურეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია მიესალმა ექსპერტებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ როდესაც წაიკითხა პროგრამის მიზანი, სადაც ხაზგასმულია შემდეგი ფრაზა: „კურსდამთავრებული იმუშავებენ, როგორც ბიზნეს სექტორში, ასავე არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციაში“, თუმცა პროგრამა ძირითადად ბიზნესზეა აწყობილი, შესაბამისად მისი რჩევაა, რომ რადგან დაწესებულება მიზანში არასამთავრობო ორგანიზაციაზეც აკეთებს აქცენტს, ერთი საგანი მაინც იყოს არასამთავრობო/არამომგებიანი ორგანიზაციების სპეციფიკაზე, აქვე აღნიშნა, რომ მას ყველაფერი ბიზნესად მიაჩნია და ბიზნეს პროცესების კუთხით განიხილავს, მაგრამ რაკი დაწესებულება უსვამს ხაზს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ორგანიზაციაში მუშაობის პერსპექტივას, კარგი იქნება თუ ამ კუთხითაც ასწავლიან და ხაზს გაუსვამენ განსხვავებებს, მოტივაციის, ბონუსების, სტანდარტების შემოტანის კუთხით და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამაში არის სასწავლო კურსი „ოპერაციათა მენეჯმენტი“, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხარისხის მართვა, რაც ცალკე კურსად აქვთ გატანილი, მაგრამ კარგი იქნება თუ მეტ ყურადღებას გაამახვილებენ აუდიტზე, რადგან მენეჯმენტი მაინც აუდიტზე დგას, რომელიც არის არამარტო ფინანსური, არამედ სხვადასხვა პროცესების აუდიტი და ა.შ. რადგან ხარისხი ცალკე არის გამოტანილი და მენეჯმენტზე აკეთებენ აქცენტს აუდიტზეც რომ გაამახვილონ ყურადღება. მისი თქმით დაწესებულებას აქვს სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მენეჯმენტში“, თუმცა მისი მოსაზრებით უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას თანამედროვე ორგანიზაციებში/მენეჯმენტში, დაამატეს სასწავლო კურსი Excel-ის ცხრილების გამოყენება, რაც ძალიან კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია ERP სისტემები, რომელიც არის, მაგრამ ერთი კურსია და უნდა გაღრმავდეს პრაქტიკული მაგალითების მიმართულება, განსხვავებები, რომელი ორგანიზაცია რატომ იყენებს და სხვა.

მან ასევე აღნიშნა, რომ არჩევით სასწავლო კურსებში იყო წარდგენილი „ფინანსური აღრიცხვა“, ძირითად სასწავლო კურსებში „ფინანსების საფუძვლები“ წარმოდგენილი და „მენეჯერული აღრიცხვა 2“ - არჩევით სასწავლო კურსებში, მაგრამ მისი მოსაზრებით „ფინანსური აღრიცხვა“, მისი ელემენტები/საფუძვლები და ა.შ. ჯობს, იყოს ძირითად სასწავლო კურსებში, რადგან მენეჯერი არის ადამიანი, რომელმაც იცის აქტივების/ვალდებულებების გარკვეულ პროცესებზე გავლენა ან პროცესების გავლენა აქტივებზე/ვალდებულებებზე, მან კომპლექსურად უნდა შეხედოს პროცესს და ამიტომ, დაწესებულებას ურჩია, რომ ამ მიზანში ნაკლებად მიაქციონ ყურადღება არასამთავრობო ორგანიზაციებს, რადგან საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებში ალბათ NGO-ები იგულისხმება, მაგრამ, რადგან დაწესებულებას პროგრამის მთავარ სტრატეგიულ ხაზად აქვს გამოტანილი, მისასალმებელი იქნება ერთ საგანი მაინც ასეთი ორგანიზაციების მენეჯმენტის საკითხებზე ამახვილებდეს ყურადღებას, შესაბამისად, მისი აზრით, კარგი იქნება, დაფიქრდნენ ამ საკითხზე, რადგან რაკი აქვთ მიზანში ამ კუთხითაც უნდა განავითარონ ან ამოიღონ მიზნიდან.

16:25 საათზე საბჭოს შემოუერთდნენ ზურაბ ორჯონიკიძე და პაატა ბრეკაშვილი.

ფაკულტეტის დეკანმა, თეა კბილცეცხლაშვილმა განაცხადა, რომ წლებია ჩართულია ამ პროგრამებში. პირველ რიგში, მან აღნიშნა, რომ ზოგადად მენეჯერის ფუნქციები არის ერთიდაიგივე და არ განსხვავდება კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რადგან მენეჯერი ბუნებრივია იმ ფუნქციებით მართავს კომპანიას, როგორი ფუნქციებიც ყველა დაწესებულებაში მუშაობს, ესენია: დაგეგმვა, ხელმძღვანელობა, ორგანიზება, კონტროლი და ა.შ. მისი თქმით დაწესებულებამ პირველ რიგში იმუშავა 2018 წელს ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, ამიტომ მათ ასევე გაითვალისწინეს ახალი ხედვა და დანერგეს, თუმცა აღნიშნული განახლებული პროგრამა ბევრი ცვლილებების საშუალებას აღარ იძლევა, რადგან სტუდენტებზე უარყოფითად იქნება ასახული, ძალიან ბევრი სავალდებულო კურსის დამატება და ა.შ. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ დებიტი, კრედიტი, ვალდებულება და ა.შ. ეს კონცეფციები, რომელიც საბჭოს წევრმა ახსენა და დეკანიც ეთანხმება, რომ უნდა იცოდეს სტუდენტმა, თუნდაც ბუღალტერიის საფუძვლები, ეს საკითხები ისწავლება ფინანსურ საგნებში, რომლებიც მიწოდებულია პროგრამაში, ამიტომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სწორად ახსენა, რომ „სთეიქჰოლდერები“, რომლებიც ჩართეს პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით, ესენი იყვნენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ბუნებრივია მათ დეტალურად გაიარეს პუნქტები, შემდეგ დაწესებულებას მისცეს რეკომენდაციები, რომელთა დახმარებითაც პროგრამა წარდგა იმ სახით, რა სახითაც წარდგენილია საბჭოს წინაშე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა ბურღულაშვილმა საბჭოს წევრს მადლობა გადაუხადა რჩევისთვის. მისი თქმით არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით ცალკე საგნები არ აქვთ, რადგან მიიჩნევენ, რომ ის ცოდნა, რაც მენეჯერებს უნდა მისცეს პროგრამამ, ყველა სექტორისთვის ფაქტობრივად ერთიდაიგივეა. მან ასევე აღნიშნა, რომ აქვთ სასწავლო კურსები „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“, სადაც რაღაც დონეზე არასამთავრობო და არამომგებიანი ორგანიზაციებიც განიხილება და ფიქრობენ, რომ ცალკე საგნად ჩასმა შეიძლება არ მოხერხდეს, რადგან აღარ უნდათ პროგრამის გადატვირთვა ბევრი საგნით, რადგან სტუდენტებზე მოუწევთ ცვლილებების გატარება, თუმცა გადახედავენ სილაბუსებს სადაც შესაძლებელია ამ თემის წამოწევა, თუმცა მიზანში რა თქმა უნდა დატოვებენ, რადგან მათი სტუდენტები არასამთავრობო ორგანიზაციებში წარმატებით მუშაობენ და სწორედ, ამან მისცა მათ გამბედაობა, რომ მიზნად გაეწერათ ამ სექტორში კადრების მომზადება, მაგრამ რომელი საგნის სილაბუსიც მისცემს თემატიკის გადახალისების საშუალებას, ლექტორებთან ერთად გადახედავენ.

რაც შეეხება სასწავლო კურსის „ფინანსური აღრიცხვა“ საკითხს, პროგრამის ხელმძღვანელი სრულიად იზიარებს დეკანის მიერ ნათქვამს.

გიორგი თურქიამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაფიქრებულიყვნენ, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები რამდენად საჭიროა და თუ არასაჭიროდ ჩათვლიან, ნუ გააკეთებენ. მისი მოსაზრებით, როდესაც წაიკითხავენ მიზნებს, სადაც უწერიათ, „ბიზნეს სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო ორგანიზაციებში“, მაშინ, დაწესებულების წარმომადგენლების ლოგიკის მიხედვით, თუ მენეჯმენტი ყველგან ერთიდაიგივეა, მარტივად ჩაიწეროს - „შეუძლია იმუშაოს მენეჯერის პოზიციაზე სხვადსხვა ორგანიზაციებში“. აღნიშნა, რომ რასაც დაწესებულების წარმომადგენლები წერენ იმაზე საუბრობს, მან განმარტა, რომ მენეჯერი არის ადამიანი, რომელიც ამოტივირებს თანამშრომლებს, აქვს სტრატეგიული მიზნები და ა.შ. მისი მოსაზრებით ბიზნესი, რომლის მიზანი მოგების აღებაა და სხვა რაღაცაზეა ორიენტირებული და არასამთავრობო ორგანიზაციები განსხვავდება პროცესების მართვით, მიუხედავად იმისა, რომ რაც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, საბაზო დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და კონტროლი ყველგან ერთიდაიგივეა, მაგრამ, რადგან მიზანში ჩაწერეს, ერთი სასწავლო კურსი მაინც, ან სხვა სასწავლო კურსებში, რომ იყოს ინტეგრირებული „მენეჯმენტის საფუძვლებში“ კარგი იქნებოდა, ან მიზანი ჩასწორდეს, რაც დაწესებულებისთვის უფრო მარტივი იქნება. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ეს არის მისი რჩევა და დაწესებულების წარმომადგენლებს არ ეგონოთ აკრიტიკებს. ასევე, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ყურადღება მიაქციონ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას მენეჯმენტში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველაფერი ციფრულ ტექნოლოგიებზე დგას, დაწყებული აშშ-ის არჩევნებით, ალბათ მომავალში საქართველოს არჩევნებითაც და ნებიემიერ სექტორში უმნიშვნელოვანესია ციფრული ტექნოლოგიები.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით პროგრამაში ჩასვეს სასწავლო კურსი „საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში“ და დაწესებულება ეცდება გაითვალისწინოს საბჭოს წევრის მიერ გაცემული რჩევები.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ პროგრამა ნანახი ჰქონდა და კარგი იქნება თუ ეცდებიან მისი რჩევის გათვალისწინებას.

ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრის, ნებისმიერი ექსპერტისა და აკრედიტაციის საბჭოს სხვა წევრების მოსაზრებები დაწესებულებისთვის ძალიან ღირებულია

და ყოველთვის ცდილობენ გაითვალისწინონ და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევებისათვის.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ პროგრამის ძალიან ხშირმა ცვლილებამ, შესაძლებელია იმოქმედოს სტუდენტებზე, რადგან 2018 წელს უკვე გაითვალისწინეს რეკომენდაციები და ახლაც ცდილობენ გაითვალისწინონ.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა კიდევ ჰქონდათ თუ არა კითხვები საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ რჩევის სახით განაცხადა, რომ პროგრამისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აკავშირებს სასწავლო კურსებს სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგებს ჩაეშალა, როგორც მიზნებისა და სწავლის შედეგების დაკავშირება, დაერთოთ რა დონეზე ხდება სწავლის შედეგების აღქმის, განმტკიცების, გაღრმავების და შეედგინათ რუკა უკეთესი იქნებოდა პროგრამისთვის, ხელმძღვანელისთვისა და პროგრამის შემდეგი განვითარებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ აღნიშნული რუკა შედგენილია და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმშიც დევს. პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ დანართის სახით, ცალკე არის წარდგენილი, რადგან პროგრამა გადაიტვირთა ცხრილებით და ამიტომ გაიტანეს დანართებად.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მაშინ პროგრამაში წარდგენილი რუკა ამოსაღებია, სადაც არის მხოლოდ შესაბამისობა და მეტი არაფერი ჩანს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ რადგან ცალკე დანართია, პროგრამაში მხოლოდ მონიშნულია რომელი შედეგი რომელ მიზანზე გადის, გაშლილი ვარიანტი არის დანართის სახით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო: 16:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
ü საბჭო იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის - „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- რადგან მიზანში წერია არასამთავრობო ორგანიზაციები, გამახვილდეს ყურადღება ამ საკითხზე, დაწესებულების გადასაწყვეტია ახალ საგანს დაამატებენ თუ სხვადასხვა საგნებში მოახდენენ მის ინტეგრირებას, ასევე პროგრამა გამდიდრდეს არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციების მაგალითებით;
- გაძლიერდეს სწავლება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, რადგან ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ და დაწესებულებას აქვს ერთი საგანი ამ მიმართლებით, ისიც არა სიღრმისეული, სჭირდება ბევრი პრაქტიკული მაგალითი და ა.შ. ასევე, დაწესებულების გადასაწყვეტია „სოფტების“ ინტეგრირებას გააკეთებენ თუ როგორ შეცვლიან.
- „მარკეტინგის საფუძვლები“ გადავიდეს ძირითად საგნებში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის - „მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა